ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3069753

ნომერი: AR1464839

თარიღი : 17.12.2016

გაცემის თარიღი : 03.02.2017

გაცნობის თარიღი : 03.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, (ნაკვეთი 03/046) / ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლანა ივანოვა პ/ნ 01008038299
- ვაჟა ფშაველას 4 კვ 6 კ 40 ბინა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.11.2014 წ. №1586152 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 17.12.2016 წ. №AR1464839 განცხადებით სამსახურს მომართა ლანა ივანოვამ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.11.2014 წ. №1586152 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.11.2014 წ. №1586152 გადაწყვეტილებით, #01.14.15.003.073

საკადასტრო ერთეულზე, მრავალფუნქციური შენობის (ავტოსერვისი (ავტოსამრეცხაო), კომერციული, კაფე, საწყობი) განთავსების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებიდან (საკადასტრო კოდი №01.14.15.002.094, ფართობი 925 კვ.მ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის ნომერი №882016724398, რეგისტრაციის თარიღი 03/11/2016 წ. ამონაწერი: განცხადების რეგისტრაცია:№882016724398, მომზადების თარიღი: 03/11/2016 16:22:35) დგინდება, რომ შეიცვალა საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, ფართობი და საკადასტრო მონაცემები.
განმცხადებელი ითხოვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში აღნიშნული ცვლილების შეტანას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.11.2014 წ. №1586152 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 925 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - №01.14.15.002.094;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.11.2014 წ. №1586152 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და მიწის ნაკვეთის ძველი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შეიცვალოს ახალი საკადასტრო გეგმით და ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი №01.14.15.002.094, ფართობი 925 კვ.მ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის ნომერი №882016724398, რეგისტრაციის თარიღი 03/11/2016 წ. ამონაწერი: განცხადების რეგისტრაცია:№882016724398, მომზადების თარიღი: 03/11/2016 16:22:35);
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.11.2014 წ. №1586152 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს შენიშვნა:
   - დაცულ იქნეს საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულება და შეზღუდვა, თუ ის ეხება მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.11.2014 წ. №1586152 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.